პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 244 (10638) | ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

მშრომელთა კეთილდღეობის, მათი მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამაღლება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ეს ზრუნვა ერთხელ კიდევ მთელი სისრულით გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში.

ყრილობის მიერ მიღებული მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები ითვალისწინებენ ხუთწლედის განმავლობაში ნაციონალური შემოსავლის ზრდას დაახლოებით 60 პროცენტით და ამის საფუძველზე მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შემოსავლის შემდგომ ზრდას, ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარების მნიშვნელოვან გადიდებას. მეექვსე ხუთწლედში სეროზულად გაუმჯობესდება და გაფართოვდება საბინაო მშენებლობა: ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში სახელმწიფო სახსრებით აშენდება დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ე. ი. თითქმის ერთნორად მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში, გაუმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის კომუნალური მომსახურება, შემდგომ განვითარდება და გაფართოვდება წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის ქსელი და ელექტროქსელი, გაუმჯობესდება მოსახლეობის მომსახურება ქალაქის ტრანსპორტით, აბანოებით, სამრეცხაოებით.

წარმატებით ხორციელდება საბჭოთა ადამიანების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი. ეს კიდევ უფრო აღაფრთოვანებს და უფრო მჭიდროდ რაზმავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სოციალისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა.

და განა დასამალავია, რომ იქ, სადაც ადამიანთა ყოფაცხოვრება კარგად არის მოწყობილი, სადაც ადამიანებზე ზრუნავენ სათანადო ორგანიზაციები, მუშაობაც უფრო შეწყობილად მიმდინარეობს, გაცილებით უფრო მაღალია გეგმების შესრულების მაჩვენებლები?

მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლების, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. ბევრგან ეს ორგანიზაციები წარმატებით ასრულებენ ამ ამოცანას, განუწყვეტლივ ზრუნავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იმისათვის, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობები სისტემატურად უმჯობესდებოდეს.

სამწუხაროდ, მთელი რიგი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები კარგად არც კი იცნობენ მშრომელთა საჭიროებებს, არ ზრუნავენ მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ავიღოთ თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ქალაქისათვის ერთ-ერთი მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხი — საბინაო მშენებლობა და არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა. ბევრგან ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა. ცოტა როდია შემთხვევა, როცა წლობით ჭიანურდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინების რემონტი, ხოლო საბჭო ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არავითარ ზომებს არ იღებს. მაგალითად, ქალაქ სტალინირში ბევრი მშრომელი ახალ ბინაში შესახლებას ელოდება, ხოლო მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა ძალიან ჭიანურდება. როგორც ჩანს, მშენებლობათა ასეთი გაჭიანურება ნორმალურ მოვლენად მიიჩნიათ სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ხელმძღვანელებს. ბინათმშენებლობის საქმეს ჯეროვნად ვერც პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტი ხელმძღვანელობს, იგი მშენებლობის დასაჩქარებლად ზომებს არ იღებს.

სავალალო მდგომარეობაშია საბინაო ფონდი ოჩამჩირეში. მთელი რიგი კომუნალური სახლები გადაუდებელ რემონტს მოითხოვს, მაგრამ ამისათვის არავინ ზრუნავს. საერთოდ სარემონტო სამუშაოების გაჭიანურება ოჩამჩირეში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ოჩამჩირეში ერთადერთი აბანოა. მისი რემონტი მაისში დაიწყო და დღემდე სანახევროდაც არ არის დამთავრებული, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ოჩამჩირის რაიონული საბჭოს აღმასკომი ამ საქმით სათანადოდ დაინტერესებული რომ იყოს, ცხადია, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ქალაქ გორის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს აბანო-საპარიკმახეროების მეურნეობა. ქალაქში მხოლოდ ერთი აბანოა — 60 კაცის გამტარუნარიანობით. ცოტაა საპარიკმახეროები. გორში ძალიან ნელა იზრდება საბინაო ფონდი. არსებული ფონდის შეკეთების მხრივაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. წელს 9 საცხოვრებელი სახლი უნდა შეკეთებულიყო. ზამთარი მოახლოვდა. 10 ოქტომბრისათვის 4 სახლი კვლავ შეუკეთებელი იყო.

მშრომელთა ყოფაცხოვრების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის პირველ რიგში პასუხისმგებლობა ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ. ისინი მოვალენი არიან კარგად იცოდნენ მშრომელთა საჭიროებანი, დაინტერესებული იყვნენ იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობით, რომლებსაც მშრომელთა მომსახურება აქვთ დაკისრებული, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთესად დაკმაყოფილდეს მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნები: შეუფერხებლად შენდებოდეს საცხოვრებელი სახლები, დროულად ხდებოდეს ბინების რემონტი, გამართულად მუშაობდნენ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სასადილოები, ატელიეები, აბანოები, საპარიკმახეროები, წესრიგზე იყოს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი. ადგილობრივი საბჭოები ამ საქმეში უნდა იჩენდნენ ინიციატივას, თანმიმდევრობას, არ ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს.

მშრომელთათვის უკეთესი საყოფაცხოვრები პირობების შესაქმნელად ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს თვით მოსახლეობის დაინტერესებას. მაგალითად, ქალაქის მცხოვრებლები უნდა ზრუნავდნენ თავიანთი სახლებისათვის, სუფთად და წესიერად ინახავდნენ საერთო სარგებლობის ადგილებს, წყალსადენს, უფრთხილდებოდნენ ბინებს, მსჯელობის საგნად ხდებოდნენ საცხოვრებელი სახლისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს. თვითეული მშრომელი თავის თავს მოვალედ უნდა თვლიდეს ხმა აიმაღლოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ცუდი მუშაობის ფაქტის შენიშვნისთანავე, დაუყოვნებლივ მისცეს სიგნალი სათანადო ორგანოებს, კერძოდ, საბჭოების აღმასკომებს.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის განუწყვეტელი ზრუნვა სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების, ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე მორიგ მიღწევათა მოპოვების მნიშვნელოვანი პირობაა.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის მინათმოქმედებისა და მეჯყევეობის მინისტრი იცირო კონო

17 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი იცირო კონო, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ მოლაპარაკებაზე იაპონიის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში, და საუბარი ჰქონდა მასთან.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო. (საკდესი).

## ნ. ა. ბულგანინისა და ა. ი. მიქოიანის საუბარი იაპონიის პრემიერ-მინისტრ იცირო ხატოიამასთან და მინისტრ იცირო კონოსთან

17 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის საუბარი იაპონიის პრემიერ-მინისტრ იცირო ხატოიამასა და მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრ იცირო კონოსთან.

საუბარი შეეხებოდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებასთან. (საკდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი

### სარდარ მუჰამედ დაუდი

17 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ დაუდი.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე სარდარ ალი მუჰამედი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ჰაკიმი, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთო პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი აბდულ რაჰმან პიჟეაკი, სამთო საქმისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე სულთან აჰმედ პოპოლი, ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს სავაჭრო სამმართველოს უფროსი მუჰამედ სარვარი, ქაბულის რადიოს დირექტორი აბდულ რაუფხან ბინავი, მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ვოქილ აბდული, ქაბულის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი მუჰამედ ოსმან ანვარი და ავღანეთის სხვა ოფიციალური პირები.

სტალინაბადიდან დედაქალაქამდე სტუმრებს ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. პ. პავლოვი, არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი და საელჩოს მეორე მდივანი მუჰამედ ჰაშიმ ვალი.

მოსკოვის მშრომელები გულღიად შეხვდნენ მეზობელი მეგობრული ქვეყნის მთავრობის მეთაურსა და სხვა ავღანელ სტუმრებს და მათი სახით მიესალმნენ ავღანეთის მთელ თავისუფლებამოყვარე და მამაც ხალხს. საბჭოთა დედაქალაქის ცენტრალურმა ქუჩებმა სადღესასწაულო სახე მიიღეს. ფლაგშტოკებზე ფრიალებენ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. ტილოებზე ორ ენაზე — პუშტუს და რუსულ ენებზე — წარწერილია სიტყვები: „სალამი მეგობრული ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობას!“, „დაე მტკიცდებოდეს და ჰყვავოდეს დამოუკიდებელი ავღანეთი!“.

ცენტრალურ აეროდრომზე ავღანეთის მთავრობის მეთაურისა და დელეგაციის სხვა წევრების შესახვედრად შეიკრიბა დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლექტივების მრავალი წარმომადგენელი.

ავღანეთის მთავრობის მეთაურის შესახვედრად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, ვ. გ. ბაკაევი, ბ. პ. ბეშჩევი, მ. ა. ვასილიევი, ვ. პ. ელიუტინი, ვ. პ. ზოტოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. ა. ლესეჩკო, ნ. ა. მიხაილოვი, ეკონომიური კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ს. ბირიუზოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ნ. ა. ზახაროვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. გ. ზაიცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი.

შემხვდურთა შორის იყვნენ მოსკოვის საკრებულო მეჩეთის იმამ ჰათიბი კამარტდინ სალიხოვი, მეჩეთის იმამი აჰმითჯან მუსტაფინი.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები, რადიოს, კინოქრონიკის მუშაკები.

აეროდრომის თავზე გამოჩნდა თვითმფრინავი. ვერცხლისფერი მანქანა ძირს ეშვება და მიდის იმ ადგილთან, სადაც შემხვდურნი შეიკრიბნენ. ტრაპზე თვითმფრინავიდან ჩამოდის სარდარ მუჰამედ დაუდი. ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები მხურვალედ ართმევენ ხელს სარდარ მუჰამედ დაუდს.

მოსწავლეები სტუმრებს ყვავილთა თაიგულებს უძღვნიან. საპატიო ყარაულის უფროსი პატაკს აძლევს სარდარ მუჰამედ დაუდს. აეროდრომზე ჟღერენ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სარდარ მუჰამედ დაუდი და ნ. ა. ბულგანინი ჩამოუვლიან საპატიო ყარაულის ფრონტს, ავღანეთის მთავრობის მეთაური მიესალმება მინისტრებსა და სხვა ოფიციალურ პირებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. შემდეგ სარდარ მუჰამედ დაუდი მიდის მიკროფონთან და სიტყვას წარმოთქვამს.

### სარდარ მუჰამედ დაუდის სიტყვა

მეტისმეტად მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი მეგობრულ მეზობელ ქვეყანაში, რომელთანაც მრავალი წლის მანძილზე გვაქვს კარგი, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მე მსურს ვასარგებლო ამ შემთხვევით და მეგობრული წერილი და ბედნიერების კეთილი და გულწრფელი სურვილები გადავცე საბჭოთა კავშირის ხალხს ავღანელი ხალხისაგან.

გულწრფელად მადლობელი ვარ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა მეგობრული მოწვევისათვის. ძლიერ მოხარული ვარ, რომ ეს მეგობრული მოწვევა შესაძლებლობას გვაძლევს მე და ჩემს თანამგზავრებს თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებთან პირადი კონტაქტისა და საბჭოთა ხალხის უკეთ გაცნობის შედეგად კვლავ დავადასტუროთ ავღანეთის ხალხისა და მთავრობის სურვილი, რომელიც გამოხატავს ჩვენს მეგობრულ და მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელსაყრელი შემთხვევა ორივე ქვეყნის სურვილს შესაბამისად აღმოჩნდება სასარგებლო ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის დადასტურებისა და განმტკიცებისათვის და უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნების ხალხთა საერთო მისწრაფებას ბედნიერებისა და კეთილდღეობისადმი თავიანთთვის, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა და ეროვნებათა მუდმივი მეგობრული ურთიერთობის ატმოსფეროში მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ბედნიერების მფარველობით.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი გრძნობები და საუკეთესო სურვილები.

• • •

აეროდრომიდან სტუმრები გაემართნენ მათთვის განკუთვნილი რეზიდენციისაკენ. მოსკოვის ქუჩებში შეკრებილი ათასობით მოსკოველი მხურვალე ტაშით მიესალმებოდა ღია მანქანით მიმავალ ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურს სარდარ მუჰამედ დაუდსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის თანმხლებ პირებსა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც სხვა ავტომანქანებით მიდიოდნენ. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი

სტალინაბადი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი, რომელიც ვიზიტით მიემგზავრება მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით. მასთან ერთად ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ალი მუჰამედი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ჰაქიმი და სხვა ოფიციალური პირები.

საპატიო სტუმრებს შეხვდნენ ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დოდხუდოევი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ს. ობნოსოვი და ა. იმამოვი და სხვა ოფიციალური პირები.

პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ აგრეთვე ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი და საელჩოს მეორე მდივანი მუჰამედ ჰაშიმ ვალი.

სტალინაბადის აეროდრომი მორთულია ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ალმებით. ტილოებს პუშტუს ენასა და ტაჯიკურ ენაზე აწერია: „გაუმარჯოს ავღანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ავღანეთის საპატიო წარმომადგენლებო!“. ქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი მოვიდა აეროდრომზე, რათა მისალმებოდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს და გამოეთქვათ ავღანელი ხალხისადმი მეგობრობის გულწრფელი გრძნობები.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. მოსწავლეებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა ილაპარაკა მიკროფონთან. მან მადლობა გადაიხადა მეგობრული შეხვედრისათვის.

სტუმრებს მიესალმა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დოდხუდოევი.

ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დოდხუდოევმა დღისით საუზმე გამართა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ალჟირის სამხარეო კომიტეტს და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ დიდ მუშაობას, რომელიც ალტაის მხარის სოფლის მეურნეობის [illegible] მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად.

მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ითვისეს 2,9 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები, მოიყვანეს წელს კარგი მოსავალი და სახელმწიფოს ჩააბარეს 280 მილიონი ფუთი პური. ამჟამად ალტაის მხარე ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი გახდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ალტაის მხარის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებსა და ყველა მშრომელს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც კიდევ უფრო დიდი ენერგიითა და შეუპოვრობით იმუშავებენ, რათა განახორციელონ ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტს და სამხარეო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ დიდ მუშაობას, რომელიც კრასნოიარსკის მხარის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გასწიეს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ითვისეს 900 ათას ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები, მნიშვნელოვნად გაადიდეს ნათესი ფართობები, გააუმჯობესეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხი და მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავლის მიღებას. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 94 მილიონი ფუთი პური, რაც 16,5 მილიონი ფუთით მეტია, ვიდრე შარშან, და 2,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამდე. ამჟამად კრასნოიარსკის მხარე აღმოსავლეთ ციმბირში მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი მწარმოებელი გახდა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში, რომლებიც აღმოსავლეთში ვითარდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ კრასნოიარსკის მხარის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს და ყველა მშრომელს მიღწეულ წარმატებებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოლებენ, რათა მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ზრდას, სრულად გამოიყენონ მხარეში არსებული უდიდესი შესაძლებლობანი ახალი მიწების ათვისებისათვის, მეცხოველეობის განვითარებისათვის და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დეკეულეგის გაცვლა ცეილონის პრემიერ-მინისტრსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შორის

ა. წ. ოქტომბერში მოხდა მეგობრული წერილების გაცვლა ცეილონის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ს. ბანდარანაიკესა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს შორის.

ქვემოთ მოყვანილია წერილების ტექსტი:

„დეპეშა

ქ. კოლომბო, 1956 წ. 2 ოქტომბერი

მოსკოვი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
მის აღმატებულებას
მარშალ ნიკოლოზ ბულგანინს

მე და ჩემმა მთავრობამ დიდი კმაყოფილებით მივიღეთ ანგარიში ცეილონის დიპლომატიური მისიისაგან, რომელიც ეწვია თქვენს ქვეყანას სერ კლოდ კორეას ხელმძღვანელობით.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გადავუხადო თქვენს აღმატებულებას მხურვალე მადლობა პირადად ჩემგან და ჩემი მთავრობის სახელით განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისა და კეთილი ნებისათვის, რაც მისიის მიმართ გამოიჩინეთ.

ბანდარანაიკე,
ცეილონის პრემიერ-მინისტრი“

„დეპეშა

მის აღმატებულებას
ბატონ ს. ბანდარანაიკეს,
ცეილონის პრემიერ-მინისტრს
კოლომბო

მიიღეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მადლობა თქვენი გულთბილი წერილისათვის. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მთავრობამ, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ხელმძღვანელობდა რა კეთილშობილური მისწრაფებით აღედგინა ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის, გამოგზავნა საბჭოთა კავშირში მთავრობის დელეგაცია სერ კლოდ კორეას მეთაურობით.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ცეილონისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციების ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც შეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, კარგი საფუძველი იქნება ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“

ქ. მოსკოვი, 15 ოქტომბერი.

(საკდესი).

## საბჭოთა კავშირისა და იაპონიის სრულუფლებიან წარმომადგენელთა თათბირი

16 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენც-დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ა. ა. გრომიკოსა და იაპონიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სიუნიჩი მაცუმოტოს თათბირი, რომლებსაც სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების მიერ მიცემული აქვთ რწმენება წინასწარ განიხილონ და მთავრობათა დელეგაციების განსახილველად წარადგინონ შესაბამისი შეთანხმებული დოკუმენტების პროექტი. წარმომადგენელთა თათბირს საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ნ. ტ. ფედორენკო, ლ. თ. ილიჩოვი, ი. თ. კურდიუკოვი, ნ. ბ. ადირხაევი და ა. ა. როზანოვი. იაპონის მხრივ — მიციტოსი ტაკახასი, მასამი ტაკაცუძი, სინსაკუ ხოგენი, აკირა სიგემიცუ და მასახირო ნისიბორი.

თათბირზე განიხილეს ერთობლივი დეკლარაციის პროექტი, აგრეთვე პროექტი ომმისა ვაჭრობის განვითარების და ურთიერთისათვის უპირატესი მოგზაურობით მოსარგებლე ერის რეჟიმის მინიჭების შესახებ.

შეხვედრა მიმდინარეობდა საქმიან და მეგობრულ ვითარებაში. დათქვეს, რომ წარმომადგენელნი განაგრძობენ აღნიშნული პროექტების შესწავლას, რათა წარადგინონ თავიანთი შეთანხმებული რეკომენდაციები სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების განსახილველად.

წარმომადგენელთა შემდეგი სხდომა დანიშნულია 17 ოქტომბრისათვის.

# ოქტომბრის 39-ე წლისთავის შესახვედრად

★

## რაციონალიზატორები აუმჯობესებენ ტექნოლოგიას

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორ თვეზე მეტია, რაც აქ ნიმდინარეობს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დათვალიერება-კონკურსი. მაღაროელი გამომგონებლები და რაციონალიზატორები ცდილობენ წინ წასწიონ ტექნიკური აზრი, გაუმჯობესონ წარმოების ტექნოლოგია, შემოქმედებითი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

რამდენიმე გამოგონებისა და წინადადების ავტორია მარგანეცის ტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსი გ. ფანცულაია. მან ახლახან შეიმუშავა ისეთი მექანიზმის კონსტრუქციაᲒ რომელიც საჰაერო-საბაგირო გზის სადგურიდან თანაბარ მანძილზე ავტომატურად გამოუშვებს ვაგონებს. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს საჰაერო-საბაგირო გზის თანაბარ დატვირთვას და მის ავტომატიზაციას. ტრესტის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურომ ამხ. ფანცულაიას წინადადება მოიწონა და იგი უკვე ინერგება წარმოებაში.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს ხარატმა კ. ქავთარაძემ სახარატო ჩარხზე მოაწყო სპეციალური სამარჯვი, რომლითაც ამზადებს ვაგონის ღერძების დასამაგრებელ ქანჩებს. ამავე სახარატო ჩარხს გაუკეთა ისეთი მოწყობილობა, რომლის დახმარებით ჩარხავს პატარა ტბილანებს.

ამ დღეებში კარგი წინადადებები შემოიტანეს აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მოწინავე დურგალმა კ. ნებურიშვილმა, ლენინის სახელობის მაღაროს სატვირთავი მანქანის მემანქანემ დ. ფერაძემ.

## ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ

ქარხანა „დაზგის“ საამქროებსა და ბრიგადებში ფართოდ გაიშალა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მექანიკური-საამწყობო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი ა. კიურჩიბაშიანი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა მიმდინარე თვის საწარმოო დავალება 28 ოქტომბერს გაანაღდოს და გეგმის გადაჭარბებით 80 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

საამქროს მოწინავე ზეინკლები ა. თოდაძე, ნ. გალკინი, ს. მუსინიანი საოქტომბრო ვახტზე დგანან, ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ. ხარატი მ. სადოვი, რომელიც საამქროს მიერ ახლახან ათვისებული სახარატო ჩარხის სათადარიგო ნაწილების გამოჩარხვაზე მუშაობს, ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 300 პროცენტით ანაღდებს. ცხობილმა მჭედელმა ვ. ზამულენკომ მიმდინარე წელს სამი წლის გეგმა შეასრულა.



ღირსეული საწარმოო საქმეებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავი! — ასეთი დევიზით შრომობენ ამ დღეებში ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. საამქროების კოლექტივებს შორის ფართოდ არის გაჩაღებული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. შრომითს ვახტზე დგანან წარმოების მოწინავე ადამიანები, ისინი საუკეთესო შედეგებს აღწევენ, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს მოპოვებული სატვიფრო-მექანიკური საამქროს მოწინავე მღარავს დ. შენგელიას. იგი ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ანაღდებს.

**სურათზე:** მღარავი დ. შენგელია ჩარხთან.

ფოტო ე. ციციაშვილისა.

★

## პროდუქცია გეგმის გადამეტებით

ქუთაისი, 15 ოქტომბერი. (საქდესი). ქუთაისის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა ახალ წარმატებას მიაღწია საოქტომბრო შეჯიბრებაში. ქარხანამ ვადაზე სამი თვით ადრე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. ამასთან პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირდა 6,8 პროცენტით.

## მეტი თევზი მოსახლეობას

სოხუმი. (საკ. კორ.). ადრე იწყება სამუშაო დღე სოხუმის მიქოიანის სახელობის მეთევზეთა კოლმეურნეობაში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს წელს სოხუმელმა მეთევზეებმა მეორე და მესამე კვარტალში. შავი ზღვის აუზში მათ ყველაზე კარგი წარმატებები აქვთ. კოლმეურნეობამ მესამე კვარტალის გეგმის გადამეტებით 1.230 ცენტნერი თევზი ჩააბარა სახელმწიფოს.

თევზჭერის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გამოცდილი მეთევზეები ა. ქაროსანიძე და ვ. ჩიკიროვი ხელმძღვანელობენ. ისინი თევზჭერას მექანიზებული წესით აწარმოებენ. პირველმა მათგანმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 325 ცენტნერისა 631 ცენტნერი თევზი დაიჭირა, რაც გეგმის 194 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეორემ 415 ცენტნერის ნაცვლად 637 ცენტნერი თევზი დაიჭირა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე კოლმეურნეები, რომლებიც თევზჭერას ნაპირზე ეწევიან. განსაკუთრებით გამოირჩევიან პირველი და მეშვიდე ბრიგადები, რომლებსაც ა. ფირცხალავა და ა. შადერკინი ხელმძღვანელობენ.

ამ დღეებში მეთევზე კოლმეურნეებმა გაჩაღეს მზადება საშემოდგომო-საზამთრო თევზჭერისათვის. ისინი დაუღალავად იბრძვიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის.

* * *

აჭარაში შავი ზღვის ნაპირას გაჩაღებულია საშემოდგომო თევზჭერა. ცალკეულ დღეებში მეგადურები იჭერენ 700 ცენტნერამდე მსხვილ სტავრიდასა და ჰელემიდას. ისწრაფვის რა ღირსეულად განახორციელოს საოქტომბრო შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი, ბათუმის თევზის ქარხნის კოლექტივმა უზრუნველყო მთელი დაჭერილი თევზის თავის დროზე მიღება და გადამუშავება და გადამდე — 5 ოქტომბრისათვის — 100,5 პროცენტით შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა.

ქარხანაში და მის შესაბოლავ პუნქტებში ქობულეთსა და ფიქვნარში დაიწყო ახალდაჭერილი სტავრიდის შებოლვა. განაგრძობს რა საოქტომბრო ვახტს, ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 150 ცენტნერამდე თევზის პროდუქცია.

*რესპუბლიკაში წლის გოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი*

# რატომ იკლო ხორცის წარმოებამ

მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დასაწყისში კასპის რაიონის ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრეს მეღორეობის სულადობის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეესრულებინათ, თვითეულ დედაღორზე მიეღოთ და გაეზარდათ 15 გოჭი, ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე ეწარმოებინათ სულ მცირე 18 ცენტნერი ღორის ხორცი,

გავიდა თვეები. სამეურნეო წელიც დამთავრდა. კოლმეურნეობის გამგეობასა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მხოლოდ წლის ბოლოს გაახსენდათ ეს ვალდებულებანი. ამიტომ მეღორეობის განვითარების საქმეში შედეგიც სავალალოა.

ამჟამად კოლმეურნეობაში 37 ღორი ჰყავთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80-სა. ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღეს მხოლოდ 6,9 ცენტნერი ღორის ხორცი. ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე გოჭების მიღებისა და შენარჩუნების საქმეში. თვითეულ დედაღორზე შენარჩუნებულია მხოლოდ 6,9 გოჭი. თორმეტ თვეში მოუვლელობით მოკვდა 65 მოზარდი. კოლმეურნეობაში კი დახოცილ გოჭებს ცოცხლებად თვლიან. ასე აცნობეს რაიონსაც.

აქ არ აფასებენ სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარების დიდ მნიშვნელობას. ღორის ხორცი კოლმეურნეობას ჩაბარებული აქვს გეგმის მხოლოდ 30 პროცენტი. სამწუხარო ის არის, რომ ახლაც არ ზრუნავენ ამ საქმეში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად, გასუქებაზე არც ერთი ღორი არა ჰყავთ დაყენებული.

კოლმეურნეობაში ცუდად არის მოწყობილი ღორების კვების საქმე. ღორებს ცოტა ეძლევათ საკვები, რაც ეძლევათ, ისიც არაწესიერად — ერთად უყრიან მიწაზე. უკანასკნელ თვენახევარში არ შეუდგენიათ კვების ხარჯვის უწყისი. ფერმის გამგეს ე. კელაპტრიშვილს კი არავინ სთხოვს პასუხს. მოუვლელობის გამო გოჭები ძლიერ სუსტად არიან და ამიტომ ხშირია სიკვდილიანობა.

კოლმეურნეობაში დღემდე ღორების ერთი წესიერი სადგომის აგება ვერ მოუხერხებიათ. ამიტომ ღორების სადგომად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბინას იყენებენ. აქაც უსუფთაობაა, სადგომში ალაგ-ალაგ წყლის გუბეები დგას.

საერთოდ ნაკლები ყურადღება ექცევა ჯიშიანი ღორის მოშენებას. კოლმეურნეობაში 9 თვის ღორი იწონის 40-50 კილოგრამს. ასეთ ღორს აქ ჯიშიანად თვლიან!

როგორ მუშაობს და რას აკეთებს მეღორეობის განსავითარებლად კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია? მას 12 თვის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია ემსჯელა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. როგორც ჩანს, პარტიული ორგანიზაციის მდივანს ი. გორგაძეს მეღორეობის საქმე სასხვათაშორისოდ მიაჩნია. სამწუხაროდ, არც პარტიის კასპის რაიკომის მდივანს თეძამის მტს-ის ზონაში ე. თარხნიშვილს და თეძამის მტს-ის დირექტორს დ. სილაგაძეს განუხორციელებიათ ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მეცხოველეობაში სამეურნეო წელი ასევე არასახარბიელო მაჩვენებლებით დამთავრდა სოფელ ნიგოზას ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ღორის სულადობის გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გოჭის მიღებასა და შენარჩუნებაში. ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიღებულია მხოლოდ 4,4 ცენტნერი ღორის ხორცი, ნაცვლად 16,4 ცენტნერისა.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ს. ქოქაშვილი) მეღორეობას, როგორც მეცხოველეობის ყველაზე მალმწიფებად დარგს, აშკარად უპასუხისმგებლოდ ეკიდება. მსგავსი მდგომარეობაა თეზის ტელმანის სახელობის, ახალქალაქის მიქოიანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

მეღორეობის განვითარებაში რაიონის ყველა კოლმეურნეობაში საქმე ცუდად როდია. იქ, სადაც კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ ამ საქმისათვის, წარმატებაც არის.

ეს პირველ რიგში ითქმის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე. აქ გეგმით გათვალისწინებული 180 ღორის ნაცვლად ჰყავთ 232. გასუქებაზე დაყენებულია 45 ღორი. ქვემოჭალელი კოლმეურნეები 7 ნოემბრისათვის სახელმწიფოს 4 ტონამდე ღორის ხორცს ჩააბარებენ. კოლმეურნეობაში მეღორეობის განვითარების საქმეში წარმატებას იმით აღწევენ, რომ ღორებს კარგად უვლიან და კვებავენ, წელს მეღორეობის ფერმისათვის ტიპური პროექტის მიხედვით ააგეს ახალი კეთილმოწყობილი სადგომი, ღორების საკვებად დიდი რაოდენობით გამოყვეს სიმინდი, საკვები ჭარხალი, ქერი. საერთოდ აქ ღორების კვების რაციონში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წვნიანი საკვები.

ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობამ მეცხოველეობაში 1956 სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა. ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღო 18,8 ცენტნერი ღორის ხორცი და ამით ნაკისრ ვალდებულებას 3,8 ცენტნერით გადააჭარბა.

ახლა ქვემოჭალელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ფართოდ ეცნობიან კრასნოდარელთა გამოცდილებას. მათი მაგალითისამებრ ფერმაში მოაწყობენ ავტოსაკვებურებსა და ავტოსარწყულებლებს.

საერთოდ კასპელმა მეცხოველეებმა ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა, მოწინავე მეღორეთა გამოცდილება და ამიტომ ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეში სერიოზული გარღვევები აქვთ. დიდი ნაკლია ის, რომ თვითეულ დედაღორზე მიიღეს მხოლოდ 7,3 გოჭი. ეს წინა წლის მაჩვენებელზე ნაკლებია. სათანადოდ ვერ მოუარეს მიღებულ ნამატსაც. ამის შედეგად მიმდინარე წლის 9 თვეში მოკვდა 1.248 ღორი. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცოტას გამოყოფენ ხოლმე კონცენტრირებულ საკვებს. ბევრგან საღორე სულ არა აქვთ. ნაკლები ყურადღება ექცევა ღორების საკვებად მიწავაშლას გამოყენებას.

ახლა რაიონში გათვალისწინებულია მეოთხე კვარტალში გასუქებული ღორებით სახელმწიფოს ჩააბარონ 447 ცენტნერი ხორცი. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი. მაგრამ ეს არ კმარა. აღგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ღორის ხორცის წარმოების გადიდების საქმეს, კონკრეტულად დაეხმარონ მეცხოველეებს ჩამორჩენილი დარგის — მეღორეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად.

**შ. ჭოჭუა,**
**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

## იზრდება სიმინდის მოსავლიანობა

ბოლნისი, 15 ოქტომბერი. (საქდესი). ჩაებნენ რა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკლე ვადაში დაამთავრონ სიმინდის მოსავლის აღება. ახლა ყველგან გაჩაღებულია მოსავლის მასობრივი აღება, მუშევანის, ინჯოღლის, სარალაარის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა უკვე მთლიანად დაამთავრეს მოსავლის აღება.

სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა. 464 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე ისინი საშუალოდ იღებენ 35-40 ცენტნერ სიმინდს. ამ კოლმეურნეობის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს. დამზადებული თივა ორჯერ აღემატება შარშანდელს. თივის დამზადება წარმატებით ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზეც, სადაც წელს 70 ათასამდე ცხვარი იქნება გადარეკილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოლქის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოოვეტმომსახურება. ჯავაში ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს საკვების განიავებას, რასაც გულდამშვიდებით შესცქერის პარტიის ჯავის რაიკომი. სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს ზოგიერთი ზოოვეტსპეციალისტი დაუდევრობას იჩენს პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მეტი დახმარება ესაჭიროებათ ოლქის კოლმეურნეობებს პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან.

კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. სოფლების წინაგრის, კეხვის, თამარაშენის, არცევის, მუგუთის, ნულისა და სხვა კოლმეურნეობები წელს დაამთავრებენ ფერმების მექანიზაციას. სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აწყობს მეორე მექანიზებულ ფერმას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება საყოველთაოსახალხო საქმეა. სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

**ჯ. ცაგარეიშვილი,**
**საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.**

# მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა დაგვისახა.

მეცხოველეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. პარტიისა და მთავრობის მოწოდებას მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის შესახებ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი ოლქის მშრომელებიც.

პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ განუმარტეს მშრომელებს, რომ კოლმეურნეობათა ეკონომიური ზრდა დიდად არის დამოკიდებული მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებაზე. წინათ მეცხოველეობის ბევრ ფერმას არ ეტყობოდა პარტიული ორგანიზაციების ხელი. მეცხოველეთა შრომის მოუწესრიგებლობის გამო კოლმეურნეები თავს არიდებდნენ ფერმებში მუშაობას. წლების განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა ფერმების დაკომპლექტებას გამოცდილი კადრებით. ამჟამად კი ძნელია მეცხოველეობის ისეთი ფერმის ნახვა, სადაც კომუნისტებისა და კომკავშირელებია გამოჯდ ხელი არ იგრძნობოდეს.

პირველადი პარტორგანიზაციების თაოსნობით მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ წავიდა ასობით კომუნისტი და კომკავშირელი. პირუტყვის სადგომებში დაცულია სიუფთავე, გაუმჯობესდა ცხოველების კვება და მოვლა. მწყემსებს და მომვლელებს ეძლევათ საუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

საკოლმეურნეო ფერმებში გაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთები, მეცხოველეობის მუშაკებისათვის ეწყობა მოხსენებები და საუბრები. ამ მხრივ საგულისხმოა ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის პირველადი პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება. ავნეველმა კომუნისტებმა სწორად განსაზღვრეს მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივა. მათ ადრევე დაიწყეს ბრძოლა პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისა და მეცხოველეობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუჯობესებისათვის. წელს კომუნისტებმა ითავეს თივისა და სილოსის დამზადების ორგანიზაცია, თვითეულ ძროხაზე 7 ტონა სილოსი ჩადეს. კოლმეურნეობამ მოკლე დროში აშენა მექანიზებული ფერმა. ფერმასთან მოწყობილია მწველავთა ოთახები, წითელი კუთხე, გამოდის კედლის გაზეთი. მწველავებსა და მწყემსებს შორის პოლიტიკურ მუშაობას სათავეში უდგას ფერმის პარტიული ჯგუფი.

პარტიის საოლქო კომიტეტმა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს დახმარება გაუწია ხბოების ხელით კვებაზე გადაყვანისა და მეცხოველეობის პროდუქტების აღრიცხვის მოწესრიგების საქმეში. წინათ კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი უარს ამბობდა ხბოების ასეთი წესით კვებაზე, სასარგებლოდ არ მიაჩნდა იგი. პარტიული ორგანიზაციების მიერ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღებით ეს წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ამ საქმეში თაოსნობა გამოიჩინეს ერედვის, ძარწემის და წინაგრის კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც პირველად დანერგეს მეცხოველეობაში ხბოების ხელით კვების პროგრესული წესი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მეცხოველეობის ბერწიანობას. შეუძლებელი იყო წველადობის გეგმების შესრულება იმ დროს, როცა ძროხების საგრძნობი ნაწილი ბერწად რჩებოდა. პარტიის საოლქო კომიტეტმა მოიწვია ზოოვეტსპეციალისტების თათბირი, სადაც განხილულ და დასახულ იქნა ბერწიანობის სალიკვიდაციო ღონისძიებანი. ამ მიმართულებით დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს მეცხოველეობის ფერმების პარტიულმა ჯგუფებმა. ცალკეულ კოლმეურნეობებში, სადაც ყველაზე დიდი იყო ბერწიანობა, მის საწინააღმდეგო ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად მივლინებულ იქნენ მეცხოველეობის სპეციალისტები. წელს ძროხების ბერწიანობა საკოლმეურნეო ფერმებში მინიმუმამდეა დაყვანილი.

მიმდინარე წლის დასაწყისში ყველა რაიონში მოწვეულ იქნა მწველავებისა და მეცხოველეობის სხვა მუშაკთა რაიონული შეკრება. რაიონულ შეკრებებზე მეცხოველეებმა აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი. სტალინირის რაიონის მეცხოველეებმა სოფელ ერედვის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის იულია კაბულოვას წინადადებით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზნაურელი მეცხოველეები. ზნაურელებმა ერთხმად მიიღეს გამოწვევა და თავგანთი მხრივ შეჯიბრებაში ჩაებნენ ჯაველებთან. ლენინგორელებმა კი შეჯიბრებაში გამოიწვიეს თიანეთის რაიონის მეცხოველეები. ახლა გაჩაღებულია თავდადებული შრომა ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

წინათ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მეცხოველეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას, როგორიც მეღორეობაა. ღორის ხორცის წარმოება ხორცის წარმოების მხოლოდ 6-7 პროცენტს შეადგენდა ოლქში. ამიტომ ბევრი კოლმეურნეობა იძულებული იყო ხორცის ჩაბარების დავალება ძირითადად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხარჯზე შეესრულებინა. პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების ინიციატივით კოლმეურნეობებში ფერიოზული მუშაობა იქნა გაწეული ღორის ხორცის წარმოების გადიდებისათვის. ზონალურ თათბირებზე განხილულ იქნა ღორის ხორცის წარმოების გადიდების გზები. კოლმეურნეობებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა საჩვენებელი გასასუქებელი პუნქტების მოწყობა და კიდეც მოაწყო ისინი, მაგალითად, სოფლების ერედვის, წინაგრის, ავნევის, მუგუთის, უგარდანთის, ნულის, თამარაშენის, ორჭოსნის, არგვიცისა და სხვა კოლმეურნეობებმა. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დამტკიცებულია ღორების გასუქების ოპერატიული გეგმები. ღორების გასასუქებლად ფართოდ იყენებენ საკვები პროდუქტების ყველა რეზერვს — ნარჩენებსა და ველურ ხილს. 1956 წელს სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 2-ჯერ მეტი ღორის ხორცი, ვიდრე გასულ წელს.

ოლქის კოლმეურნეობები წელს უკეთესად მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 780,8 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 772 კილოგრამისა. ბევრმა კოლმეურნეობამ დიდად გადააჭარბა გასული წლის მაჩვენებლებს წველადობაში. ამ მხრივ სერიოზული როლი შეასრულეს საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. პარტიულის მდივანი დ. მეტრეველი აქტივის საშუალებით ყოველდღიურად ამოწმებს პირუტყვის მოვლას, კვებისა და რწყულების, წველადობისა და აღრიცხვის მდგომარეობას, ეხმარება ფერმის მუშაკებს შრომის სწორად მოწყობაა და დისციპლინის განმტკიცებაში. პარტორგანიზაცია სისტემატურად განიხილავს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს და აღწევს მიღებული დადგენილებების შესრულებას. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ კოლმეურნეობამ წელს ერთიორად გაადიდა წველადობა, ააგო ტიპური საძროხე, სასილოსე კოშკები. ამ წარმატებებისათვის კოლმეურნეობას პარტიის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი მეცხოველეობის განვითარებაში. გასულ წელს წველადობის გეგმა მოწინავე კოლმეურნეობების ხარჯზე შესრულდა. პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ წველადობის გეგმას ასრულებდეს გამოუკლებლივ ყველა კოლმეურნეობა. ჯერჯერობით კი ასე როდია. თუ სტალინირის რაიონის მარმაზეთის და სნეკვის კოლმეურნეობებმა გარკვეულ წარმატებს მიაღწიეს მეცხოველეობაში, ეს იმით აიხსნება, რომ ამ კოლმეურნეობებში ამაღლდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, კოლმეურნეთა აქტივობა. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ქსუსის მტს-ის ზონაში ე. ვალიევი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მეცხოველეებთან. მაგრამ რაიკომის ყველა ინსტრუქტორი ასე როდი მუშაობს. ქსუსის მტს-ის ზონაშიც კი არიან ინსტრუქტორები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის ფერმებს. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ამ ზონის ბიყარისა და გრომის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში კვლავ შეუწყნარებლად ჩამორჩება მეცხოველეობა.

ამჟამად პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. 1 ოქტომბრისათვის ოლქში სილოსის ჩადების გეგმა შესრულებულია 67,9 პროცენტით. გასული წლის მაგალითმა ცხადყო, რომ სასილოსედ ყველაზე უკეთესია სიმინდის მწვანე მასა, ღორების გამოსაკვებად კი — სიმინდის ნედლი დაკონსერვებული ტარო. ამ მიზნით კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს სიმინდის ნათესები სილოსისათვის. წელს ოლქის კოლმეურნეობებმა თივის აღების გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს. დამზადებული თივა ორჯერ აღემატება შარშანდელს. თივის დამზადება წარმატებით ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზეც, სადაც წელს 70 ათასამდე ცხვარი იქნება გადარეკილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოლქის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოოვეტმომსახურება. ჯავაში ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს საკვების განიავებას, რასაც გულდამშვიდებით შესცქერის პარტიის ჯავის რაიკომი. სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს ზოგიერთი ზოოვეტსპეციალისტი დაუდევრობას იჩენს პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მეტი დახმარება ესაჭიროებათ ოლქის კოლმეურნეობებს პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან.

კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. სოფლების წინაგრის, კეხვის, თამარაშენის, არცევის, მუგუთის, ნულისა და სხვა კოლმეურნეობები წელს დაამთავრებენ ფერმების მექანიზაციას. სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აწყობს მეორე მექანიზებულ ფერმას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება საყოველთაოსახალხო საქმეა. სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

**ჯ. ცაგარეიშვილი,**
**საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.**

# სპეკულაციასთან ბრძოლა თავმინებებულია

ზემო იმერეთში სპეკულაციის თაობაზე სიტყვა რომ ჩამოვარდება, აუცილებლად საჩხერეს მოიხსენიებენ. და ეს სავსებით ბუნებრივია. დაბა საჩხერეში საკმაოდ ფესვგადგმულია სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო და სამარცხვინო ეს მავნე გადმონაშთი კაპიტალიზმისა. აქ არის ერთი უბანი, გარკვეული მოედანი, სადაც სპეკულანტები დღისით და ღამით თავისუფლად და დაუსჯელად საქმიანობენ, ატყუებენ გულუბრყვილო ადამიანებს და საქონელში ორმაგ-სამმაგ ფასს ახდევინებენ. აქ წახავთ მოხუცს თუ ახალგაზრდას, ქალს თუ კაცს, რომლებიც ყიდულობენ ზაფხულის თუ ზამთრის სეზონის საქონელს ან ძვირფას ნივთებს, და ეს ხდება აშკარად, ყველას თვალწინ, დაუსჯელად. ამ ამბავზე სინანულს გამოთქვამენ პატიოსანი მშრომელები, ამას გულისტკივილით აღნიშნავენ რაიკომის თუ რაიაღმასკომის, პროკურატურის თუ მილიციის მუშაკებიც, მაგრამ სინანული და გულისტკივილი საქმეს ვერ შველის, გაქნილი სპეკულანტები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაურბიან, დანაშაულს სჩადიან.

ყველაზე სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ამ დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ გაჩაღებული არ არის ერთობლივი ბრძოლა, მის აღმოსაფხვრელად მობილიზებული არ არის საზოგადოებრივი აზრი. ამის შედეგია, რომ წელს რაიონში სპეკულაციის მხოლოდ ოთხი შემთხვევა გამოვლინდა, რაც წვეთია ზღვაში.

1956 წლის 27 იანვარს მოსკოვში კურსკის სადგურზე ანტონინა კაპანაძე დაიპატიმრეს. მას სასპეკულაციოდ წაღებული 42 კილოგრამი დაფნის ფოთოლი აღმოაჩნდა. სპეკულანტმა იცრუა. დაფნის ფოთოლი ჩემს ბებიას ეკუთვნის და გაყიდვა დამავალაო. შემდეგ ჩვენების მეორე „ვარიანტი“ წამოაყენა: დაფნის ფოთოლი ჩემი ამხანაგის დედას ეკუთვნისო. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ა. კაპანაძემ დაფნის ფოთოლი იყიდა აბაშაში ნატალია ჩხაიძისაგან და მოგების მიზნით წაიღო მოსკოვში. როცა მოსკოვის მილიციამ ა. კაპანაძის საცხოვრებელი ადგილი დაადგინა, საჩხერეში სასწრაფო დეპეშა მოვიდა, ითხოვდნენ: გაერკვიათ ა. კაპანაძის ვინაობა. აქედან აცნობეს, რომ „ანტონინა კაპანაძე ეჭვმიტანილია სპეკულაციაში“. საქმე იმით დამთავრდა, რომ სპეკულანტ ა. კაპანაძეს დამსახურებისამებრ მიეზღო.

მაგრამ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ამ ამბის მეორე მხარეს. საჩხერეში ყველამ და პირველ რიგში მილიციის ორგანოებმა იცოდნენ, რომ ა. კაპანაძემ დიდი ხანია ხელი აიღო პატიოსან შრომაზე. იგი ხშირად დადიოდა მოსკოვში, ლენინგრადსა და რიგაში, იქ იძენდა სამრეწველო საქონელს და სპეკულანტურ ფასად ყიდდა საჩხერეში. ყველაფერი ეს რატომღაც ადგილზე „ვერ შეამჩნიეს“ და საჩხერელ სპეკულანტს დანაშაულზე წაასწრეს მოსკოვში და არა საჩხერეში.

ა. იოსებაშვილი და ე. ნანიკაშვილი სპეკულაციაში დახელოვნდნენ. ჯერ კიდევ გასულ წელს მილიციის ორგანოებს სიგნალი ჰქონდათ, რომ მათ დიდძალი ტყავეული მოჰქონდათ საჩხერეში გადასაყიდად. სიგნალი დადასტურდა: საჩხერის რკინიგზის სადგურზე მათ (ისინი ნათესავები არიან) აღმოაჩინდათ ტყავებით დატვირთული ჩემოდნები. გადამყიდველებს მაშინვე გამოუჩნდნენ გულშემატკივრები. საქმე გადაეცა სამტრედიის რკინიგზის პროკურატურას, იქიდან კვლავ საჩხერეში დააბრუნეს და გამოძიება საკმაო ხანს გაჭიანურდა. ამ მოძრაობაში საქმე კიდევაც შერბილდა. ეს ამბავი მკაცრად აღინიშნა საჩხერის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. როგორც იქნა, გამოძიება დამთავრდა და საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. იოსებაშვილსა და ე. ნანიკაშვილს ექვს-ექვსი წელი მიუსაჯა. განაჩენი უმაღლესმა სასამართლომ დაამტკიცა, მაგრამ საკითხი რატომღაც შეტრიალდა რესპუბლიკის პროკურატურაში. განაჩენი გააპროტესტეს. ახლახან საქმე გაარჩია ჭიათურის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც სპეკულანტი ა. იოსებაშვილი სრულიად გაათავისუფლა, ხოლო ე. ნანიკაშვილს ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა იმ მოტივით, რომ ტყავეული მხოლოდ ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. ამჟამად სპეკულანტ ე. ნანიკაშვილის საქმეც კასაციაშია. მოსალოდნელია მანაც თავი დაიძვრინოს. ასეთი შემთხვევები სამართლიან უკმაყოფილებას და გაკვირვებას იწვევს მშრომელებში.

საჩხერეში შექმნილი არ არის სპეკულანტების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ბრძოლის ატმოსფერო, ისინი თავისუფლად საქმიანობენ. მეორე წელია, რაც აქ რატომღაც გააუქმეს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის მილიციის განყოფილების მუშაკის შტატი, მაშინ როცა ასეთი მუშაკი საჭირო და აუცილებელია სწორედ საჩხერეში, რასაკვირველია, თუ იგი საქმიანად და ოპერატიულად იმუშავებს. ამას ნათელყოფს ერთი პატარა მაგალითიც: მილიციის განყოფილებას იმ უბანში, სადაც უფრო გავრცელებულია სპეკულაცია, მეორე წელია აქვს საგუშაგო (უფროსი ამხ. ო. პაპაძე), მაგრამ არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ საგუშაგოს რომელიმე სპეკულანტი ემხილებინოს. გადამყიდველები თითქოს შეეჩვივნენ, შეეგუენ საგუშაგოს უფროსს, უფროსი კი — მათ. სრულ უმომქმედობას იჩენს ამ საქმეში რაიაღმასკომის ვაჭრობის განყოფილებაც (გამგე ბ. ფერაძე). აქვე ფორმალურად არსებობს მილიციის დამხმარე კომკავშირული ბრიგადები. დღემდე მათ, გარდა თამბირის ჩატარებისა, არაფერი არ გაუკეთებიათ. ეს ბრიგადები დიდი ძალაა, თუ მონდომებით იმუშავებენ.

არის ისეთი სამწუხარო შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი ხელს უწყობს, ფარავს სპეკულანტს. კომკავშირელმა ნ. ბიჭაშვილმა უარყო თავისი პირველი ჩვენება სპეკულანტ ხ. ბაბაშვილის საქმეზე. ჭიათურის მარგანტრესტის ავტომანქანის მძღოლმა ლ. რაგინსკიმ რეზინის ნაწარმი გადაუტანა სპეკულანტებს ს. ნანიკაშვილს და რ. თეთრუაშვილს. სამწუხაროდ, ლ. რაგინსკი მარტო როდია. სპეკულანტების ტვირთებს საჩხერემდე ხშირად ეზიდებიან სახელმწიფო თუ კერძო მანქანების სხვა მძღოლებიც. ეს სამარცხვინო საქციელი რატომღაც შეუმჩნეველი რჩებათ სათანადო ორგანოებს.

სპეკულაციის აღმოფხვრისათვის სუსტად, არათანმიმდევრულად იბრძვიან პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი. აქ წელს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე სპეციალურად არ უმსჯელიათ. რაიკომის ბიუროს 1956 წლის 18 ივლისს განხილა რაიკოოპერატივის, სარეწაო კოოპერაციის და ადგილობრივი მრეწველობის ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მობილიზებული არ არის გაფლანგვა-დატაცების, სპეკულაციისა და სხვა ბოროტმოქმედებებთან ბრძოლისათვის, მოსახლეობაში არ ტარდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ამ ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად, შენელებულია ყურადღება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნისადმი. ეს იყო და ეს. ამ დადგენილებას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, სპეკულაცია ამით ოდნავადაც არ შემცირებულა, გადამყიდველები კვლავ თავისუფლად „მოღვაწეობენ“.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ საჩხერეში სპეკულაციის წინააღმდეგ თანმიმდევრულად არ იბრძვიან, ეს საქმე თავმინებებულია. სპეკულანტებს მკაცრად და დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ. მათ წინააღმდეგ უნდა ავამხედროთ ფართო საზოგადოებრივი აზრი, შეექმნათ ისეთი ატმოსფერო, რომ სპეკულანტი დასაყრდენს ვერ პოულობდეს.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „პარჭიის ქარელის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს საშემოდგომო ხვნა-თესვას“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხვნა-თესვაში არსებული ნაკლოვანებები და პარტიის რაიკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა ამ საქმისადმი.

პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროს „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. საშემოდგომო ხვნა-თესვისა და თესლის წმენდის საქმეში სუსტი ხელმძღვანელობისა და ჩამორჩენისათვის რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა ქარელის მტს-ის დირექტორს ვ. ღოღობერიძეს, მთავარ აგრონომს თ. წველიძეს და რუისის მტს-ის მთავარ აგრონომს გ. ურუშაძეს. სოფლების ბრეთის, მოხისის, არადეთის და ოქროსოფლის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ი. მაჭარაშვილს, შ. ტიტვინიძეს, ი. კულუმბეგაშვილს და გ. ღამბაშიძეს მიეთითათ.

რაიკომის ბიუროს საშემოდგომო ხვნა-თესვის და თესლის წმენდის საქმეში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

## „სასოფლო საბჭო და სოფლის კეთილმოწყობა“

—გულს ახარებს შალაურის კოლმეურნეობის წარმატება, თვალს ატკბობს სოფლის ლამაზი მდებარეობა, მაგრამ შალაურელები მაინც უკმაყოფილონი არიან, რადგან არავინ ზრუნავს, რომ სოფელი კეთილმოწყობილი და საცხოვრებლად მოხერხებული იყოს,—წერდა „კომუნისტში“ ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი.

პარტიის თელავის რაიკომის ბიურომ სამართლიანად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა. შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

შალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ჯავახიშვილი სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან.

# შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

მახარაძე, 15 ოქტომბერი. (საქდესი). ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ 100,3 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი ფოთლის 72 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს იმ აგროობნებმა, რომლებსაც ვასო და გიორგი სვანიძეები ხელმძღვანელობენ.

## უცხოელი სპეციალისტები ფყიბულჯესის მშენებლობაზე

თერჯოლა. (საკ. კორ.). ბევრ უცხოელ სპეციალისტს იზიდავს ტყიბულჯესის მშენებლობა. აქ წელს საწარმოო პრაქტიკა გაიარეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩამოსულმა მშენებლებმა. ისინი განსაკუთრებით დაინტერესა დახრილი სამთო გამონამუშევრის გაყვანისა და მასში ფართოკვეთიანი საწნეო მილების მონტაჟის სამუშაოებმა.

ამ დღეებში აქ საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოვიდა ჩინელ სპეციალისტთა ახალი ჯგუფი. ჩამოსულთა შორის არის ჩინეთის ერთ-ერთი მძლავრი ელექტროსადგურის — გუტიანჭესის მშენებლობის უფროსი ლიან დუნ-ჩუნი, ამავე მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი ქალი ლინ ფენ-ინი, ახალგაზრდა ჰიდროსპეციალისტი ჯოუ იუ-კუნი და მთარგმნელი ლიუ ჯიჟანი.

ჩინელ სპეციალისტებს განზრახული აქვთ გაეცნონ აგრეთვე ხრამისა და სომხეთის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებსაც.

## გელათის შახტის რეკონსტრუქცია

ტყიბული. (საკ. კორ.). დაიწყო გელათის შახტის რეკონსტრუქცია. უკვე დამთავრდა საპროექტო სამუშაოები. ახლო მომავალში შეუდგებიან საექსპლოატაციო და საგენტილაციო სამთო გამონამუშევრების გაყვანას. დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული მიწის ზედაპირზე: აიგება ახალი ბუნკერი, მოეწყობა შახტის ზედაპირული ეზო, გაშენდება მეშახტეთა ახალი კეთილმოწყობილი უბანი. ამ უბანს ექნება კარგი კლუბი, საბავშვო ბაღი, სასადილო, აფთიაქი და პურის საცხობი. სწრაფი ტემპით აგებენ მეშახტეთა ორ და სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს და საბავშვო ბაგის შენობას.

სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ შახტში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება ორჯერ გადიდდება.

## რეჯანის უხვი მოსავალი

ლაგოდეხი, 15 ოქტომბერი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში რეჯანის მაღალ მოსავალს იღებენ. სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მიღებულია 34 ცენტნერი მწვანე მასა.

რეჯანის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფელ თელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კოლმეურნე შ. ბარბაქაძემ 0,2 ჰექტარზე მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 10 ტონა რეჯანი — ორჯერ მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

## პირველ ადგილზე რესპუბლიკაში

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). წლების მანძილზე ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკას ნაკლოვანებები ჰქონდა. წელს აქ მდგომარეობა გამოსწორდა. ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი დ. ერქვანია, მთავარი ტექნოლოგი ა. ჯალაღონია, უფროსი ინჟინერი გ. ჯანელიძე) მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ჩაის ფოთლის გადამუშავების საქმეში. მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით (გეგმა შესრულდა 140,9 პროცენტით) ფაბრიკა პირველ ადგილზე გამოვიდა რესპუბლიკაში და მას გადაეცა კვების მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირის კომიტეტისა და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ გარდამავალი წითელი დროშა.

I ოქტომბრისათვის მესამე კვარტალის გეგმებიც შესრულებულია გადაჭარბებით. განსაკუთრებით კარგად იშრომეს ილია სიჭინავამ, ანტონინა სერდიუკოვამ, ნატალია ლიმონსკაიამ, ტარასი წურწუმიამ და სხვებმა.

## ხილის დამზადების წლიური გეგმა შეასრულეს

ცხაკაია, 17 ოქტომბერი (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 450 ტონა ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 205 ტონისა. დამზადებული ხილიდან მოსკოვის მშრომელებს გაეგზავნა 150 ტონა ვაშლი.

# რა ვნახეთ ჩინეთში მეჩაიეობის დარგში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მივლინებიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ჩინეთში ყოფნის დროს გაეცნო ჩაის კულტურის აგროტექნიკას, მისი გადამუშავების ტექნოლოგიას და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ამ დარგში. მოგზაურობის შთაბეჭდილებები მით უფრო საგულისხმოა, რომ მასში მონაწილეობდნენ ჩაის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება და მტკიცდება, ხელს უწყობს ამ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ აყვავებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში; კერძოდ, ჩაის დარგში ასეთ თანამშრომლობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოწინავე აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, ისე კვლევითი სამუშაოების შედეგების ურთიერთ გაზიარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ყველგან, სადაც საბჭოთა სპეციალისტები იყვნენ, ჩინელმა მეგობრებმა მათ განსაკუთრებით გულთბილი მიღება მოუწყეს. ისინი მოუთხრობდნენ საბჭოთა სპეციალისტებს თავიანთ მიღწევებსა და პერსპექტივებზე ჩაის წარმოების განვითარების საქმეში და აჩვენებდნენ ყველაფერს, რაც კი ამ მხრივ საინტერესო იყო.

ჩაის კულტურას ჩინეთში რამდენიმე ათასი წლის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ჩაის მწარმოებელ ყველა ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, ეს კულტურა ჩინეთიდან არის გადმოტანილი. ჩინეთის 27 პროვინციიდან 15 პროვინციაში საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ჩაის კულტურის განვითარებისათვის. ცეჯიანის, ანხოის, ხუნანის, ფუძიანის, სიჩუანის და ხუბეის პროვინციებში ამ კულტურით მიღებული შემოსავალი ამჟამად მთელი სოფლის მეურნეობის შემოსავლის 70 პროცენტს აღწევს. მეტი წილი პლანტაციები ჩინეთში გაშენებულია მაღლობ და მთაგორიან ადგილებში. ანხოისა და ფუძიანის პროვინციების ზოგიერთ ადგილში ჩაით გაშენებული ფერდობების დაქანება 40 გრადუსამდე აღწევს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგან ეს კულტურა გაშენებულია ზღვის დონიდან ძალიან დიდ სიმაღლეზე. მაგალითად, ანხოის პროვინციაში ხუანშანის მთის ფერდობებზე ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზე ჩაის ბუჩქები საუკეთესოდ გამოიყურებიან. ეს აიხსნება ამ პროვინციების რბილი ჰავით.

შეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ჩინეთში ჩაის წარმოებამ აყვავების მაქსიმუმს მიაღწია. მაშინ ჩინეთში მხოლოდ ექსპორტისათვის ყოველწლიურად 80 მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაი მზადდებოდა. ინდოეთში და ცეილონზე ამ კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით ჩინეთში ჩაის წარმოების მოცულობა საგრძნობლად შეიკვეცა. იაპონიის მიერ ოკუპირებულ პროვინციებში ჩაის წარმოება მკვეთრად დაქვეითდა, იგი არ საღდებოდა. იყო დრო, როცა ერთი კილოგრამი ჩაის ფასით ერთი კილოგრამი ბრინჯის ყიდვაც შეუძლებელი იყო. გომინდანელების ბატონობის დროს ჩინეთში ამ სასარგებლო კულტურის განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ჩინეთის კომუნისტური პარტია და მთავრობა ჩაის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ჩამოყალიბდა სპეციალური ორგანიზაციები ჩაის წარმოების გადიდებისა და შესყიდვის ხელმძღვანელობისათვის. ამ პროდუქტების ფასი გადიდდა 23 პროცენტით; მეჩაიეობის 9 პროვინციას მიეცა კრედიტი 20 მილიონი იუანის რაოდენობით.

ამჟამად ჩინეთში ჩაის პლანტაციების ფართობი 300.000 ჰექტარს აღემატება, რომელიც გაერთიანებულია ძირითადად მაღალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში 1955 წელს 108 მილიონი კილოგრამი ჩაის მზა ნაწარმი იქნა გამოშვებული. თუ ჩაის მზა ნაწარმი ერთ სულზე ამჟამად მოდის 300 გრამი, 1967 წლისათვის გათვალისწინებულია საშუალოდ ერთ სულზე გამოშვებულ იქნას სულ მცირე სამი კილოგრამი. ჩინეთში 1955 წელს გაშენდა 13.000 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, შექმნილია 15 ახალგაზრდა სახელმწიფო მეურნეობა, 8 საცდელი სადგური, განზრახულია დაარსდეს ჩაის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

სოფლის მეურნეობის კოოპერირებამ ჩინეთში საუკეთესო პირობები შექმნა ნედლეულის გადამუშავების გაუმჯობესების უზრუნველყოფად. კოოპერატივებში ჩამოყალიბდა რამდენიმე გადამამუშავებელი პუნქტი, სადაც ხდება წლობით შეძენილი გამოცდილების გაზიარება და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დამზადებული ჩაი შეიძლება ძირითადად ხუთ მთავარ სახედ დავყოთ: შავი ბაიხის, მწვანე ბაიხის, წმენდილი, ოოლონგი და არომატიზებული ჩაი. გარდა აღნიშნული სახეების ჩაისა, ჩინეთში ცნობილია მრავალი სხვა სახის ჩაი, მათ შორის: მწვანე ჩაი „ლუნძინის“ სახელწოდებით, ყვითელი, ლურჯი, თეთრი, აგრეთვე „ლუნცი“ ჩაი კონებად და სხვ. ყველა სახის ჩაის გადამუშავებას თავისი ტექნოლოგია აქვს.

ჩინეთში ჩაის ფოთლის კრეფის თავისებური წესებია შემოღებული, რაც აგროტექნიკის თავისებურებით აიხსნება. იმის გამო, რომ პლანტაციები სისტემატურად არ ისხვლება, ბუჩქები იძლევიან წვრილ დუყებს. კრეფას მეტწილად აწარმოებენ თევზა ფოთლის ზევით ყველა ფოთლის აღებით, ზოგჯერ კი თევზა ფოთოლსაც აცლიან. ასეთი მკაცრი კრეფით ჩაის ბუჩქი რამდენიმე წლის განმავლობაში მაღალ მოსავალს იძლევა, მაგრამ შემდეგ კი სუსტდება და მოსავალიც ეცემა. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უკანასკნელად უპირატესობას იძლევენ კრეფის ამ წესს, რომელიც საბჭოთა კავშირშია შემოღებული, ე. ი. ჩაის ფოთოლს კრეფენ თევზა ფოთლის ზევით ერთი ან ორი ფოთლის დატოვებით, რომლის დროსაც ბუჩქი კი არ უძლურდება, არამედ ძლიერდება და თანდათან მეტ მოსავალს იძლევა. შავი ბაიხის ჩაის გამოსამუშავებლად ჩინეთში ხუთი ხარისხის ნედლეულს ამზადებენ. არსებული სახელმწიფო სტანდარტის თანახმად ფოთლის ხარისხი ისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ხვედრითი წონა აქვს ფოთლის წყებაში 2-3 ან 4 ფოთლიან დუყებს კვირტით და რა სიდიდის (სიგრძის) არის ეს დუყები.

შავი ჩაის გადამუშავებისას უპირატესობას აძლევენ ფოთლის ღონობას შენობებში აქამდე არსებულ მზეზე ღონობასთან შედარებით. ფოთლის გრეხვის პროცესი თუ მანამდე ხელით წარმოდგა, ახლა თითქმის ყველგან 8-9 კილოგრამი ტევადობის საგრეხ როლერებში წარმოებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ რიგ პროვინციებში დიდი მოთხოვნილებაა ხელოვნურად არომატიზებულ მწვანე ბაიხის ჩაიზე. მის დიდ ნაწილს ჩაის მეორადი (დამხარისხებელი) ფაბრიკები ხელოვნურად აარომატებენ ცოცხალი სურნელოვანი ყვავილებით, როგორიც არის: ჟასმინი, მიქელია და სხვ. არომატულ ყვავილებს გარკვეული რაოდენობით შეურევენ ხოლმე ხმელ, საბოლოოდ დახარისხებულ ჩაიში. 12-14 საათის განმავლობაში ჩაი ითვისებს არომატს, რის შემდეგ აცლიან ყვავილებს. ხოლო ტენიან ჩაის დამატებით აშრობენ ღუმელებში. არომატიზებულ ჩაის გრეხა-მეტულად ფუძიანი ტექნიკა ნანგალ ტექნოლოგია აქვთ „ლუნძინის“ და „ოოლონგს“. პირველს ამზადებენ [illegible] 200 გრამისან გაცხელებულ [illegible] ფოთლებისაგან [illegible] ადამიანურად ათავსებენ 200-400 გრამ ფოთოლს, რომელიც ხელით განუწყვეტელი არევითა და ხელის გულით ქვაბის ფსკერზე დაწოლით 40 წუთის განმავლობაში იხალება. ამის შედეგად ტენი დაჰყავთ 4-5 პროცენტამდე. ფოთოლი იღებს ბრტყელ ფორმას და „ლუნძინისათვის“ დამახასიათებელ თვისებებს, რის შემდეგ იფუთება გერმეტულად. რაც შეეხება „ოოლონგს“, იგი წარმოადგენს ნახევრადფერმენტირებულ ჩაის. მზადდება საკმაოდ მოუხეშო უკვირტო 3-4-ფოთლიანი დეუყებიდან. მისი დამზადების პროცესებია: მსუბუქი ღონობა, მომღნარი ფოთლის კიდურების ხელოვნურად დაზიანება სპეციალურ ბამბუკის ღოლში გატარებით, მოხალვა ქვაბებში, გრეხვა და შრობა. ჩაი „ოოლონგი“ შრობის დამთავრებისთანავე იფუთება ცხელ მდგომარეობაში. მას აქვს სპეციფიკური, მეტად მწკლარტე გემო. ასეთი ჩაის მომხმარებლებია: სამხრეთ-დასავლეთ აზიის მოსახლეობა, ჩინეთში გუანდუნის პროვინცია და ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩინური შავი ბაიხის ჩაიდან მსოფლიოში განთქმულია „კიმინი“ (ანხოის პროვინცია), „იუნანი“ (იუნანის პროვინცია), „ჩინხო“ (ფუძიანის პროვინცია), „სიჩუანი“ (სიჩუანის პროვინცია) და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ჩაის ხმელი დახარისხების საქმეს. ყველა სახის ნახევარფაბრიკატს სოფლის მეურნეობის კოოპერატივები და პირველადი ფაბრიკები აბარებენ დამხარისხებელ ფაბრიკებს, რომლებიც მეორადი ფაბრიკების სახელწოდებით არიან ცნობილი და შედიან დამზადების სამინისტროში. ნახევარფაბრიკატის მიღებას მეორადი ფაბრიკები აწარმოებენ ხუთ სხვადასხვა ხარისხში. ჩაის დასახარისხებლად გამოყენებულია საერთოდ ცნობილი მრგვალი და ბრტყელი მრავალთაროიანი დამხარისხებელი მანქანები. ყურადღებას იპყრობს ჩაის ერთგვაროვან სახეებად დამხარისხებელი მანქანა, რომელიც მუშაობს პნევმატიკის პრინციპით. დახარისხების პროცესები მექანიზებულია ისე, რომ თითქმის მთელი სამუშაოების 80 პროცენტი მანქანებით სრულდება.



ჩინეთში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩაის კულტურის ხაზით მხოლოდ სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ დაიწყო. საცდელ სადგურებში თავმოყრილია საკმაო მონაცემები და გაკეთებულია ზოგიერთი დასკვნები აგროტექნიკის ამა თუ იმ მეთოდის ეფექტიანობის შესახებ. მაგრამ ეს არ შეიძლება თქვას გადამუშავების ტექნოლოგიაზე და ჩაის მცენარის ბიოქიმიის შესწავლაზე. ჩინელი სპეციალისტები დიდი ინტერესით ისმენდნენ საბჭოთა სპეციალისტების საუბრებს ჩაის აგროტექნიკის, ტექნოლოგიისა და ბიოქიმიის დარგში საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე. სპეციალურად მოწყობილ გასაუბრებებში ჩვენი სპეციალისტები მოუთხრობდნენ ჩაის გადამუშავების ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც დამუშავებულია საბჭოთა სპეციალისტების მიერ და დანერგილია წარმოებაში.

მომავალში განზრახულია ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები ჩაის ბუჩქების გასხვლისა და ფოთლის კრეფის საქმეში საბჭოთა კავშირში არსებული გამოცდილების მიხედვით.

**ი. გალდავაძე,**
**სსრკ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ჩაის ხარისხის შემფასებელი ბიუროს უფროსი,**

**ა. ძუთათელაძე,**
**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი აგრონომი.**

* * *

**სურათებზე:** 1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბტროპიკული მცენარეებისა და მეაბრეშუმეობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. თუი თინ-ძი ჩაის პლანტაციაში; 2. ფერდობზე გაშენებული ჩაის პლანტაცია; 3. ჩაის ახალი პლანტაციის გაშენება საბჭოთა მეთოდით ხუნანის პროვინციის საცდელ სადგურში.

## მკითხველები წიგნზე

# საჭირო ბროშურა

ქართულ ენაზე საფეიქრო დარგის ლიტერატურა ძალიან მცირეა. ამიტომ გასაგებია, რომ ყოველი ახალი წიგნი ან ბროშურა საფეიქრო საქმის შესახებ ამ დარგის სპეციალისტთა და მუშაკთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

ფეიქრებმა გულთბილად მიიღეს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის მეცნიერი მუშაკის ნ. ცაგარლისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ინჟინრის ვ. ინაშვილის ბროშურა „მისაქსელის გადასახვევი ავტომატი УПС- 260“.

მისაქსელის გადასახვევი ავტომატი УПС-260 დამზადებულია ინჟინერ ნ. ა. სტეპანოვის კონსტრუქციით. ასეთი ავტომატები ჩვენი ქვეყნის ყველა მოწინავე საფეიქრო ფაბრიკაშია დადგმული. მისი მოწყობილობა სხვა საფეიქრო მანქანებთან შედარებით უფრო რთულია და მომსახურე პერსონალის მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს. ავტორებს გაუთვალისწინებიათ აღნიშნული გარემოება, და ბროშურაში ავტომატის ყოველი კვანძის მუშაობა, ცალკეული ნაწილების ურთიერთქმედება ღრმად და საფუძვლიანად არის წარმოდგენილი და გასაგებად დაწერილი.

ბროშურაში, ავტომატის ცალკეული კვანძების მუშაობის ახსნა-განმარტების გარდა, მოცემულია სამასრე კოლოფის კინემატიკური ანგარიში, ავტომატის გაწყობა, მისი დაზეთვისა და ზოვლის წესები, რა და რა სახის წუნი შეიძლება იქნას მიღებული ნართის გადახვევის პროცესში. ბროშურაში ლაპარაკია აგრეთვე უსაშიშრობის ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების შესახებ.

წიგნი განკუთვნილია საფეიქრო ფაბრიკების ტექნიკურ მუშაკთათვის. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე საფეიქრო ტექნიკუმისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის სტუდენტებს ავტომატ УПС-260-ის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში.

უდავოა ავტომატის მუშაობის პრინციპების საფუძვლიანად გაშუქებასა და უბრალოდ, გასაგები ენით გადმოცემაში ავტორებს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ერთი — ნ. ცაგარელი მეცნიერი მუშაკია, ხოლო მეორე — ვ. ინაშვილი, წარმოების ინჟინერი.

ბროშურის გამოცემამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა სასარგებლო ნაყოფს იძლევა წარმოებისა და მეცნიერების მუშაკთა ურთიერთმეგობრობა. სასურველია, რომ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებს პოპულარული ბროშურებისა და დამხ

## პრეზიდენტ სუკარნოს გამოსვლა რადიოთი ჩინეთიდან წასვლის წინ

პეკინი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს რადიოთი გადაცემულ იქნა სიტყვა, რომლითაც ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ მიმართა ჩინელ ხალხს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან წასვლის წინ. სუკარნომ თავის სიტყვაში თქვა, რომ იგი და მისი თანმხლები პირები ბედნიერი იყვნენ სწვეოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ღირსშესანიშნავ მომენტში, როცა ჩინეთი „შევიდა ახალ ხანაში, ბრწყინვალე პერსპექტივების ხანაში. ჩინელი ხალხი ახლა აშენებს ახალ საზოგადოებას, რომელშიც უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობა, სამართლიანობა, აყვავება და ბედნიერება".

სუკარნომ აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებული სიხარული მიანიჭა ჩინელ ხალხთან ურთიერთობამ. „ესენი კეთილი, სტუმართმოყვარე და შრომისმოყვარე ადამიანები არიან, თქვა მან. ხოლო, რაც მთავარია, ისინი აღსავსენი არიან ძალღონითა და ენერგიით, უყვართ დამოუკიდებლობა და მშვიდობა და დიდად აფასებენ მეგობრობას".

შეეხო რა იმას, რომ პირადი დაკვირვებით მან მიიღო მტკიცე რწმენა, რომ ჩინელი ხალხი უთუოდ მოიპოვებს წარმატებას ჩინეთში ახალი საზოგადოების აშენებისათვის თავის ბრძოლაში, სუკარნომ განაცხადა: „ჩემი რწმენა ემყარება ორ ფაქტს. პირველი ის არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მდიდარია მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა რესურსებით. მეორე — და ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რესურსები, — არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხი. ეს ყველაზე დიდი სიმდიდრეა. 600 მილიონმა ადამიანმა გამოჭედა მტკიცე ერთიანობა. ისინი შრომობენ დაძაბულად და მზად არიან მსხვერპლად მიიტანონ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. მათ მხურვალედ უყვართ დამოუკიდებლობა და მშვიდობა..." ასეთ ქვეყანას, განაგრძო სუკარნომ, ვერაფერს ვერ მოსპობენ, ასეთი ქვეყანა არასოდეს არ დაიღუპება, იგი მუდამ იარსებებს. დადგება დღე, როცა მთელი მსოფლიო სცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

პრეზიდენტმა სუკარნომ გამოთქვა რწმენა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თამამად შეუძლია თავისი იმედი დაამყაროს ახალგაზრდა თაობაზე. „ჩვენ იმედი გვაქვს, — თქვა მან, — რომ ჩინეთის ახალგაზრდა თაობა კვლავაც შეასრულებს უფროსი თაობის მიერ დაწყებულ დიად საქმეს. ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ჩინეთის ახალგაზრდა თაობა კვლავაც დაიცავს და განამტკიცებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდონეზიას შორის მეგობრობის ხიდს, რომელიც უფროსმა თაობამ ააშენა".

გამოთქვა რა რწმენა, რომ ჩინეთისა და ინდონეზიის ხალხები კვლავაც განაახრიცევლებენ ღონისძიებებს თავიანთი ქვეყნების განვითარებისა და ურთიერთ მეგობრული კავშირის განმტკიცებისათვის, სუკარნომ თქვა: „მაშ მოდით მხარდამხარ ვიაროთ ჩვენი საერთო მიზნების მიღწევის საქმეშიც — მთლიანად აღვგავოთ კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი აზიისა და აფრიკის მიწაწყალზე, სრულყოთ ჩვენი დამოუკიდებლობა, რათა მივაღწიოთ მტკიცე და საყოველთაო მშვიდობას".

დასასრულ პრეზიდენტმა სუკარნომ 82-მილიონიანი ინდონეზიელი ხალხის, ინდონეზიის მთავრობის, თავისი თანმხლები პირებისა და პირადად თავისი სახელით მადლობა გადაუხადა ჩინელ ხალხს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ინდონეზიელი სტუმრებისათვის ჩინეთში გაწეული გულითადი მიღების გამო და ჯანმრთელობა, მშვიდობა და ბედნიერება უსურვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხსა და ხელმძღვანელებს.

## პრეზიდენტი სუკარნო ჯაკარტაში დაბრუნდა

ჯაკარტა, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობიდან ჯაკარტაში დაბრუნდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით საფრანგეთის ეროვნულ კრებაში მთელი რიგი დეპუტატების მოთხოვნით დაიწყო კამათი გი მოლეს მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. კამათის დროს შეეხებიან სუეცის არხის პრობლემას, ალჟირის მდგომარეობას, აგრეთვე მთავრობის სოციალურ-ეკონომიური და ფინანსური პოლიტიკის საკითხებს. პირველი სამი სხდომა მიეძღვნება სუეცის პრობლემის განხილვას. კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 30-ზე მეტი დეპუტატი.

დღევანდელ დილის სხდომაზე რეგლამენტის საკითხთა გადაჭრის შემდეგ დაიწყო ინტერპელაციების ავტორთა გამოსვლა.

## საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პარიზში დაიწყო მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდოს გრძელვადიანი შეთანხმება 1957-59 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდებას.

მოლაპარაკება მიმდინარეობს იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის მიღწეულ იქნა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გი მოლესა და საგარეო საქმეთა მინისტრის კრისტიან პინოს მოსკოვში ყოფნის დროს მიმდინარე წლის მაისში.

საბჭოთა დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, საფრანგეთის დელეგაციას — ეკონომიურ საკითხთა სტატს-მდივანი მასონი.

## საბჭოთა კავშირის დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოფიკაციაში

ხანოი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამას წინათ ხანოის ადმინისტრაციული კომიტეტის შენობაში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ხანოის რადიოსადგურის გადაცემის ცერემონია. ეს რადიოსადგური საბჭოთა კავშირმა ააშენა და მოაწყო დახმარების წესით. ახალი რადიოსადგური ყველაზე დიდია იმ 10 რადიოსადგურიდან, რომლებიც საბჭოთა სპეციალისტებმა ააშენეს ხაიფონში, ვი-ვინში, ნამ-დინში, ფატ-დიემსა და ჩრდილოეთ ვიეტნამის სხვა ქალაქებში და რომლებიც გადაეცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

## პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებისადმი

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ამერიკის კონგრესის ორივე პალატის ლიდერებს გაუგზავნა წერილი იუგოსლავიისადმი დახმარების შესახებ. პრეზიდენტმა აცნობა მათ თავისი გადაწყვეტილება შეუწყვეტოს იუგოსლავიას მძიმე სამხედრო საჭურველის და, კერძოდ, 200 რეაქტიული თვითმფრინავის მიწოდება. მაგრამ გაგრძელდება იუგოსლავიისათვის მიწოდება უმთავრესად სასურსათო საქონლისა, აგრეთვე სამხედრო საჭურველის „მცირე ჩვეულებრივი, დიდი ხნის წინათ დაგეგმილი მიწოდება".

## დასავლეთ სახელმწიფოების ახალი ცდები შექმნან დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში

დამასკო, 16 ოქტომბერი. (საკდესი). სირიის ინფორმირებულ წრეებში ადასტურებენ, რომ დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის მიღწეულია თანხმობა იორდანიის ტერიტორიაზე ერაყის ჯარების შეყვანის შესახებ იორდანიისათვის დახმარების საბაბით ისრაელ-იორდანიის ურთიერთობის გამწვავების გამო.

მაგრამ პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერაყის ჯარების განზრახული შეყვანის მიზანი „ისრაელის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა" კი არ არის, არამედ იორდანიის საშინაო საქმეებში ჩარევაა („შინაგანი უშიშროების" უზრუნველყოფის საბაბით) იორდანიის პარლამენტის მომავალი არჩევნების დროს, რაც დანიშნულია 21 ოქტომბრისათვის.

კაირო, 16 ოქტომბერი. (საკდესი). იორდანიის ტერიტორიაზე ერაყის ჯარების შეყვანის მუქარა ეგვიპტის საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს. გაზეთი „აშ-შაბი" სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ამ საკითხისადმი, წერს, რომ იორდანიის ტერიტორიაზე ერაყის ჯარების შეყვანის გეგმის ავტორებს იმედი აქვთ დაიწესონ კონტროლი იორდანიის საშინაო მდგომარეობისადმი.

დასავლეთის სახელმწიფოები, განაგრძობს „აშ-შაბი", ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შექმნან არაბთა აღმოსავლეთში ახალი სერიოზული პრობლემა და სუეცის არხს ჩამოაშორონ არაბთა ყურადღება.

„ყველა მოვლენა, რომლებიც იორდანიის გარშემო ხდება, — აცხადებს გაზეთი, — ისრაელის აგრესიული მოქმედება, ერაყის მიერ დაპირებული დახმარება, ინგლისის ჩარევა და სხვ. — მოწმობს, თუ რა უიმედო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ხელი შეუშალონ არაბთა ქვეყნებს უკანასკნელი ლურსმანი დაეკედონ ბაღდადის პაქტის კუბოს".

ტელ-ავივი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). განცხადება გააკეთა რა პარლამენტში საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენ-ჭურიონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სახედრო შეჭრა იორდანიაში, თუნდაც მის აღმოსავლეთ ნაწილში", ძირს გამოუთხრიდა „სტატუს-კვოს" შუა აღმოსავლეთში.

„ისრაელის მთავრობა, — თქვა მან, — მოქმედებს თავისუფლების უფლებას იტოვებს, თუ სტატუს-კვო დაირღვა და უცხოეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ იორდანიაში".

ისრაელის პრესა აკრიტიკებს ინგლისის მოქმედებას ახლო აღმოსავლეთში. გაზეთ „ლამერჰავი" წერს, რომ „სუეცის არხისათვის ბრძოლაში ინგლისი დამარცხდა, მაგრამ იგი ცდილობს იორდანიაში დაბრუნდეს..."

ლონდონი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარს იორდანიის ტერიტორიაზე ერაყის ჯარების შეყვანის გეგმებს. მეტი წილი გაზეთების კომენტარებიდან ჩანს, რომ ინგლისს ძლიერ აწუხებს თავისი გავლენის შესუსტება იორდანიაში გლაბ-ფაშის განდევნის შემდეგ და შიშობს, რომ იორდანიის მომავალ არჩევნებში 21 ოქტომბერს გაიმარჯვებენ ძალები, რომლებიც ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ იბრძვიან.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სარედაქციო სტატიაში არწმუნებს ისრაელს, რომ იორდანიაში ერაყის ჯარების განზრახული შეყვანა არ უნდა აწუხებდეს მას, რადგან ეს ნაბიჯი „ანტიეგვიპტური ხასათისაა".

„დეილი მირორი" ბეჭდავს პარლამენტის ლეიბორისტი წევრის კროსმენის სტატიას. იგი წერს, რომ დალესსა და სელვინ ლოიდს „სურთ, რომ ერაყის ჯარები იორდანიაში შევიდნენ არა იმისათვის, რომ ისრაელისაგან დაიცვან იორდანია, არამედ იმისათვის, რომ დაიპყრონ იგი..."

„დეილი უორკერი" სტატიაში სათაურით „იორდანიისათვის ბრძოლა" წერს:

„უახლოეს ხანში იორდანიაში მოხდება არჩევნები, რომლებშიც ხალხის ძალები, — თუ, რა თქმა უნდა, მათ ხელი არ შეუშალეს,—როგორც ჩანს, სრულ გამარჯვებას მოიპოვებენ. ამასთან დაკავშირებით რეაქციონერები აგულიანებენ ერაყის მთავრობას გაგზავნოს თავისი ჯარები, რათა სასწორი გადასწონონ არა ხალხის სასარგებლოდ... ეს საეჭვო მანევრები მოასწავებენ საფრთხეს მშვიდობისათვის შუა აღმოსავლეთში, მაშასადამე, ისრაელის, ერაყისა და იორდანიის ხალხების კეთილდღეობისთვისაც"..

კაირო, 16 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც მენის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან იუწყება, იქ დამთავრდა ერაყსა და იორდანიას შორის მოლაპარაკება სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებზე. კორესპონდენტი იუწყება, რომ მოლაპარაკება ეხებოდა ერაყის ჯარების იორდანიაში შეყვანისა და ერაყ-იორდანიის გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნის შესაძლებლობას.

მოლაპარაკების დროს, ნათქვამია ცნობაში, ორ მხარეს შორის ღრმა უთანხმოება წარმოიშვა, რომელიც დაუძლეველი აღმოჩნდა, რის შედეგადაც მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა.

ერაყის დელეგაცია, რომელსაც ემირი აბდულ ილაჰი მეთაურობს, დღეს ბაღდადში გაემგზავრა.

## ბირმის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი თბილისში

თბილისში სტუმრად არის ბირმის კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან მსახიობნი, რომლებიც საბჭოთა მაყურებელს უჩვენებენ თავიანთ ეროვნულ ხელოვნებას.

ბირმის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი გაიმართა 17 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. თეატრის დარბაზი მორთულია ბირმის კავშირის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით.

სცენაზე არიან ბირმის დელეგაციის წევრები და საქართველოს სსრ ხელოვნების მოღვაწენი.

დელეგაციას გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ლ. გუნია. მან აღნიშნა, რომ ბირმის მდიდარი ხელოვნების ჩვენება საბჭოთა კავშირში არის ბირმისა და საბჭოთა კავშირის იმ მეგობრობის გამოხატულება, რომელიც მტკიცდება. თბილისის მშრომელები მოხარული არიან მიესალმონ ბირმის თავისუფლებისმოყვარე, ნიჭიერი ხალხის წარმომადგენლებს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ბირმის კავშირის განათლებისა და კულტურის მინისტრმა უ ტუნ ტინმა. მან მადლობა გადაიხადა გულთბილი გულღია მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას მოუწყეს, და საქართველოს მშრომელებს გადასცა ბირმელი ხალხის მეგობრული სალამი და თქვა:

— საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის კულტურული კავშირურთიერთობა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრობის უფრო მეტ ურთიერთგაგებასა და განმტკიცებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებას. ჩვენ ვეცნობით გიჩვენოთ ბირმელი ხალხის ხელოვნების მთელი სიმდიდრე და თავაზებურება.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხალხთა მეგობრობას!

სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

ასრულებენ ბირმის კავშირის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

იწყება კონცერტი. გამოდის ბირმის სახელმწიფო ორკესტრი („საინგი") ალინგ ჯოსეა უ ხან პას დირიჟორობით. ეროვნული ინსტრუმენტებით — დოლით, გონგით, ციმბალით, ზარებით, ქსილოფონით და სხვებით ასრულებენ „უვერტიურას", რომელიც წარმოადგენს მუსიკალური და საცეკვაო ნომრების ორიგინალურ პროლოგს.

სცენაზე გამოდის გუნდი. მისი მონაწილენი მღერიან სიმღერებს „ბირმა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღთქმა" და „საბჭოთა და ბირმელი ხალხების მეგობრობა". ოთოალის პარტიას ასრულებდა კომპოზიტორი უ პო უვეი.

მაყურებლები მხურვალე ტაშით აჯილდოებენ მსახიობებს. დიდი წარმატებით შეასრულა ბირმის კლასიკური სოლო ცეკვა მა კინ სეინმა. მსახიობები მან კინ ვინ შვე, მა ნგვე ტანი, მა ე ჩაინი, მა ა იუნტი, მა ი ი ნიუნტი, მა სან ი, მა ნგვე ია გამოვიდნენ ბირმის კლასიკური ცეკვის ეტიუდებში.

თბილისელებმა გაიცნეს ბირმის სოფლის მშრომელების საყვარელი ცეკვა „ოზი", რომელიც ოსტატურად შეასრულეს უ ხლა მომ და უ ჩინ სეინმა. აჩვენეს აგრეთვე კარენის ჯგუფური ხალხური ცეკვა და ბირმის სამი ეროვნული დუეტი დო მეი ნვეს, ალინგა ჯოსეა შვე მანის, უ ტინ მაუნგის, მა კინ ვინ შვეს, უ კეჩეტ სეინის, მა ნგვე ტანის, დო მეი ნვეს და უ სეინ აუნგ მინის შესრულებით. მსახიობმა უ ხლა მაუნგმა ბირმული ჩანგით შეასრულა კლასიკური მუსიკალური მელოდია.

კონცერტის მეორე განყოფილებაში აჩვენეს ისტორიული დრამა ბუდას ცხოვრებიდან — „ვიდურა".

ბირმის კავშირის ხელოვნების ოსტატთა კონცერტს უდიდესი წარმატება ჰქონდა. დარბაზში ხშირად გაისმოდა მქუხარე ტაში. მაყურებლებმა აღტაცებული ოვაცია მოუწყეს მსახიობებს. მათ მიართვეს ყვავილების თაიგულები.

დარბაზში იყო ბირმელ ქალთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში სტუმრად არის საბჭოთა ქალებს კომიტეტის მოწვევით.

კონცერტს დაესწრნენ აბხაზაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, მ. ი. კუჭავა. მათთან ერთად ლოჟაში იყვნენ დელეგაციის მეთაური ბირმის განათლებისა და კულტურის მინისტრი უ ტუნ ტინი, დელეგაციის მეთაურის მოადგილე სიტუ უ ბა, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ ჯინი. (საკდესი).

გარეუბნის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის თანამშრომლები მ. სოკოლოვსკაია (მარჯვნივ) და დ. ხახალეიშვილი ამოწმებენ საშემოდგომო ხორბლის თესლის გაღივების უნარს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ალიოხინის ხსოვნის ტურნირი

მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გრძელდება ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავი საჭადრაკო ტურნირი.

მეოთხე ტურში საერთო ყურადღებას იპყრობდა საბჭოთა გროსმაისტერების სმისლოვისა და კერესის პარტია. საინტერესო ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო საყაიმო მდგომარეობაში. გროსმაისტერმა ნაიდორფმა მოუგო სლოვას, ულმანმა — ჩოკილტაას. უნციკერ-ტაიმანოვის, პადევსკი-შტალბერგის, პახმან-ბოტვინიკისა და საბო-გოლომბეკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გროსმაისტერების გლიგორიჩისა და ბრონშტეინის პარტია გადაიდო ბრონშტეინის უპირატესობით.

* * *

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ბრონშტეინმა მოუგო გლიგორიჩს. კერესი და სმისლოვი, აგრეთვე შტალბერგი და ბრონშტეინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

* * *

16 ოქტომბერს გაიმართა მეხუთე ტური. ტურნირის ლიდერმა ტაიმანოვმა პარტია საბოსთან ყაიმით დამთავრა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე შტალბერგი და ნაიდორფი, ულმანი და პახმანი, კერესი და ჩოკილტაა. სმისლოვმა მოუგო გოლომბეკს. სლოვა-უნციკერისა და გლიგორიჩ-პადევსკის პარტიები გადადიო. ბოტვინიკ-ბრონშტეინის პარტია არ გათამაშებულა.

ხუთი ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ტაიმანოვი, რომელსაც 4 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა სმისლოვი (3½ ქულა).

## საკავშირო მასობრივი საჭადრაკო ტურნირი

16 ოქტომბერს მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო პირველი საკავშირო მასობრივი საჭადრაკო ტურნირის ფინალური შეჯიბრებები.

88 უძლიერესმა მოჭადრაკემ უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს ფინალში. მათ შორის არიან გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი, ოსტატი რ. ხოლმოვი, გ. კასპარიანი, მ. მუხიტდინოვი, ვ. მაკაგონოვი და სხვები.

16 ოქტომბერს გაიმართა პირველი ტური. შეჯიბრებები მიმდინარეობს თავისებური სისტემით — წილისყრით. ყოველმა მონაწილემ უნდა ითამაშოს 11 პარტია, გამარჯვებული იქნება, ვინც მოაგროვებს მეტ ქულას.

ტურნირი 28 ოქტომბრამდე გასტანს. (საკდესი).

## მეგობრობის საღამო

ამ დღეებში თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის საზეიმოდ მორთულ შენობაში გაიმართა მეგობრობის საღამო, რომელსაც დაესწრო ახალგაზრდობა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიდან და სკოლებიდან.

საღამოს საპატიო პრეზიდიუმში იყვნენ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი კორეელი კირ ვლადიმერუ, ჩინელი გოგონა თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ხან მარია, ციმბირელი ვალერი პოპოვი, რომელიც ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობს, თბილისის მკვიდრნი — რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი, ოსი, ბერძენი და სხვა ეროვნების მოსწავლეები.

საღამოზე მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობით აღსავსე სიტყვები წარმოითქვა.

შემდეგ ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 18 და 19 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, დასავლეთის სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 12-17 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ადგილ-ადგილ ნალექები მეტწილად დასავლეთ რაიონებში. დასავლეთის სუსტი ქარი ზმოვიერამდე. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 13-18 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

**რედაქტორის მოადგილე**
**რ. ჟურციკიძე.**


**საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა**
**19 ოქტომბრისათვის**

**პირველი პროგრამით**

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით**

06.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 11.00 — მასალები გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან", 12.15 — ვაინიუნასის რაპსოდია ლიტვურ თემებზე, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 17.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 18.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — ვალსები, 20.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური", 20.45 — შუმანისა და ალბენიოსის საფორტეპიანო ნაწარმოებები ტ. გოლდფარბის შესრულებით.

**რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით**

21.00 — გადაცემა „ვ. ი. ლენინი და რსფსრ კავკასიის კავშირის კომიტეტი", 21. 30 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი, 22.00 რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება".

**მეორე პროგრამით**

**რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე**

21.10 — ცელერის ოპერეტის „მარტინ მაღაროელის" მონტაჟი.

**რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე**

11.00 — „სოვეტაკან ვრასტანის" მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემები სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00—გადაცემები აზერბაიჯანულ ენაზე.



**ამირან ვასილის-ძე ოდიშარიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X სოფელ ნოსირში (ცხაკაიას რ.).

**ალექსანდრე გიორგის-ძე დოლიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X, 5 ს. ბოლნისში. გამოსვენება ბინიდან, რუსთაველის ქ. № 25.

**პავლე დავითის-ძე ქებაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X, 3 ს. სოფელ ბაისუბანში (ლაგოდეხის რ.).

**ივლიანე პეტრეს-ძე მატკავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-X, 8 ს. გამოსვენება 20-X, 4½ ს. ორჯონიკიძის ქ. № 25.

**ანა ქრისტეფორეს ასულ კვიტაშვილი-ჯაფარიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-X სოფელ შარდომეთში (ონის რ.).

**ნინო ალექსანდრეს ასულ მეგრელაძე-მელუას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X სოფელ ასკანაში (ძაწარაძის რ.).

**სოლომონ დავითის-ძე ფურცელაძის**
გარდაცვალებას.

**ალექსანდრე ბესარიონის-ძე ბოლოკინის**
**ანა ალექსანდრეს ასულ ბოლოკინის**
**ალექსანდრეს ასულ